

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ,
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 7

ქ.ვანი, თავისუფლების ქ. N65

8 ივლისი 2019 წელი
13 : 00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გელა ჩიკვაძე, გიორგი ივანიაძე, შალვა ლორთქიფანიძე, კობა ტოხვაძე, ოლეგი მიქელთაძე, ვარლამ გიორგაძე, რამაზ არველაძე, თამარ შენგელია.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: გელა ვარდოსანიძე.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - გელა ჩიკვაძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე

დღის წესრიგი

1.ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სარეზერვო ფონდის ხარჯვის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 აპრილის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს: გელა ჩიკვაძე

2.,,ქალაქ ვანში თავისუფლების ქუჩა N63-ში მდებარე შენობის მესამე სართულზე განთავსებულ ვანის ცენტრალური ბიბლიოთეკისათვის პოეტისა და მთარგმნელის გიორგი ძიგვაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ;

მომხს: გიორგი ივანიაძე

3.საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2019 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ;

მომხს: გელა ჩიკვაძე

4.სხვადასხვა.

გადაწყვეტეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს :

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაძემ კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 აპრილის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დადგენილებაში ჯერ კიდევ არის რიგი საკითხები , რომელიც ჩასასწორებელი და დასამუშავებელია, ამიტომ ეს დადგენილება ჯერჯერობით არ გადის საკრებულოს სხდომაზე.

დაადგინეს:

კომისიის წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება წარმოდგენილი დადგენილება მომზადდეს და გავიდეს მომდევნო საკრებულოს სხდომაზე.

/დანართი 2/

მოისმინეს :

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ კომისიის წევრებს გააცნო „ქალაქ ვანში თავისუფლების ქუჩა N63-ში მდებარე შენობის მესამე სართულზე განთავსებულ ვანის ცენტრალური ბიბლიოთეკისათვის პოეტისა და მთარგმნელის გიორგი ძიგვაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ;

მომხსენებელმა განმარტა, რომ გიორგი ძიგვაშვილი ძალიან ახალგაზრდა ასაკში (25 წლის) ემსხვერპლა საბჭოთა რეპრესიებს. მიუხედავად იმისა, მან მოასწრო და დაგვიტოვა შესანიშნავი ლექსების ბრწყინვალე თარგმანები.

მიმაჩნია, რომ ვანის ცენტრალური ბიბლიოთეკისათვის მისი სახელის მინიჭება მომავალ თაობაში გიორგი ძიგვაშვილის უკვდავყოფას და მისი ღვაწლის დაფასებას შეუწყობს ხელს. აქვე გაცნობებთ, რომ ეს საკითხი შეთანხმებული და მხარდაჭერილია ცენტრალური ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან და ხელმძღვანელობასთან.

კომისიის წევრების მხრიდან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ დაფიქსირებულა

კომისიის თავმჯდომარემ წარმოდგენილი მეორე საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს:

მიეცეს თანხმობა „ქალაქ ვანში თავისუფლების ქუჩა N63-ში მდებარე შენობის მესამე სართულზე განთავსებულ ვანის ცენტრალური ბიბლიოთეკისათვის პოეტისა და მთარგმნელის გიორგი ძიგვაშვილის სახელის მინიჭებას

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

/დანართი N3/

მოისმინეს :

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაძემ კომისიის წევრებს გააცნო საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2019 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმა. კერძოდ:

1.ვანის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდების და ჯილდოების შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ - 2015 წლის 29 მაისს N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

2.ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების სახელების მინიჭების შესახებ.

3.ვანის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ტერიტორიაზე - ქალაქ ვანის ქუჩებსა და სკვერებში, ასევე ვანის მუნიციპალიტეტში შემავალი თემების/სოფლების ადმინისტრაციულ ცენტრში, სკვერებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში წვრილფეხა ან/ მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნის აკრძალვის წესის დამტკიცების და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

4.ანგარიში ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის გაწეული მუშაობის შესახებ.

კომისიის წევრებმა მოიწონეს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2019 წლის მე-3 კვარტლის სამუშაო გეგმა, რომელიც მზად არის გავიდეს ბიუროს სხდომაზე დასამტკიცებლად .

/დანართი N 4/

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გელა ჩიკვაძე

**საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო,
საპროცედურო საკითხთა და ეთიკის
კომისიის სხდომის თავმჯდომარე**